მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება-
პარტია
“საქართველო”

CITIZENS POLITICAL UNIO
PARTY
“SAKARTVELO

საქართველო. 0171 თბილისი ვ. დოლიძის ქ. 22 კორ, ბინა 38
(955) 557-907-908
ელ-ფოსტა: partiasaqartvelo@gmail.com;

Georgia. 0171 Tbilisi. V. Dolidze Ave. №22 hom
(+955) 557-907-908
E-mail: partiasaqartvelo@gmail.com;

№ ა 001/047 ს/კ 205327396 14 06 2024 წ.

საპროკურორო საბჭოს

წარმოგიდგენთ, გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად ქალბატონ ლალი ბუნტურს კანდიდატურას პ/ნ 01011009451 დ/თ 27.03.1958 წ. ტ/ნ 551855750

გთხოვთ ქალბატონი ლალი ბუნტური დაარეგისტრიროთ გენერალური პროკურორობის კანდიდატად.

თან ვურთავთ:

1.ავტობიოგრაფიას; 2.პირადობის მოწმობის ასლს; 3.დიპლომების ასლებსს; 4.შრომის წიგნაკის ასლს, დახასიათებებს, პირადობის მოწმობებს, ადვოკატის მოწმობას, ვეტერანის მოწმობას, დეპუტატობის კანდიდატად მონაწილეობის დოკუმენტს.

სულ დანართი 26 ფურცელი

პატივისცემით

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

პარტია „საქართველო“-ს თავმჯდომარე: /გიორგი ლილუაშვილი/

საპროკურორო საბჭო
PROSECUTORIAL COUNCIL
№ 01/13-37-40
17 06 2024

# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, ლალი ლადოს-ას ბუნტური (პ/ნ: 01011009451; ტელ:551-855-750)დავიბადე 1958-წლის 27-მარტს ახმეტის რ-ნის სოფ.ქისტაურში, 1965-წლის 1-სექტემბერს შევედი სოფელ ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახელობის საშუალო სკოლაში,რომელიც დავამთავრე 1975-წელს, 1975-1976 წლებში ვმუშაობდი ქისტაურის სოფლის მეურნეობის საქონლის ფერმაში მწველავად და ასევე ქისტაურის კულტურის სახლში დრამატული წრის ხელმძღვანელად სადაც პარალელურად ვსწავლობდი და დავამთავრე მდივან-მემანქანის ერთ წლიანი კურსი.

1976-1977-წლებში ვსწავლობდი და დავამთავრე სართიჭალის № 85-ე ტექნიკური სასწავლებლის ქიმიურ -ბაქტეოროლოგიური ანალიზის ლაბორანტის სრული კურსი ლაბორანტის კვალიფიკაციით და მუშაობა დავიწყე ახმეტის საფუარის ქარხანაში ლაბორანტად პარალელურად ვმუშაობდი ახმეტის რძის ქარხანაში და ქისტაურის სოფლის მეურნეობის საქონლის ფერმაში რძის ცხიმიანობის განმსაზღვრელ ლაბორანტად.

1978-წლის 2-ნოემბერს მუშაობა დავიწყე ქ.თელავის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში პარკის მხვეველად.

1982-წლის 10-თებერვლიდან მუშაობა დავიწყე თბილისის ,,ლილოს" მეფრინველეობის ფაბრიკაში დამხმარე მეფრინველედ,

1982-წლის 27-აგვისტოს სამუშაოთ გადავედი დ.ს.კ-1-ში სინკარების ჩამოსასხმელ ცეხში სინკარის ჩამომსხმელ ბეტონის მუშად.

1982-წლის 17-ნოემბერს მუშაობა დავიწყე ქ.თბილისში ,,თბილგვირაბმშენში" მე-13 საგვირაბო რაზმში აბანოს მუშად.

1983-წლის -სექტემბერს ისევ ,,თბილგვირაბმშენის მე-13 საგვირაბო რაზმში გადავედი მე-4 თანრიგის „მეჭაურედ“ და „გვირაბგამყვანად“ მიწის ქვეშა სამუშაოზე.

1986-წლის 17-ოქტომბერს მივლინებული ვიქენი ქ.ბათუმში პანსიონატ ,,ბათუმი"-ს მშენებლობის ხარისხის პასუხისმგებელ ლაბორანტად სადაც პარალელურად ვმუშაობდი „კალატოზად“. მშენებლად.

1987-წლის 1-დეკემბერს გადმოვედი სამუშაოთ 38-ე შახტაზე ბეტონის ხარისხის შესამოწმებელ მე-3 თანრიგის ლაბორანტად.

38-ე შახტაზე ბეტონის ხარისხის შესამოწმებლად მე-3 თანრიგის ლაბორანტად, 1988-წლის 1-ივნისიდან მე-13 საგვირაბო რაზმის ლიკვიდაციის შემდეგ მუშაობა გავაგრძელე მე-5 საგვირაბო რაზმის მე-20 უბანზე ბეტონის ხარისხის დამდგენ მე-4 თანრიგის ლაბორანტად, გვირაბგამყვანად და ბრიგადირად მიწისქვეშა სამუშაოებზე. მუშაობის პარალელურად სწავლა დავიწყე ქ.თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე,რომელიც 1999-წელს დავამთავრე სამართალმცოდნის სპეციალობით იურისტის კვალიფიკაციით.

2000-წლიდან ვარ ადვოკატი,მუშაობა დავიწყე იურისტთა საერთაშორისო კლუბის

ადვოკატობიდან. 2001-წლის 07-ივლისიდან ვიყავი საქართველოს ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის წევრი ადვოკატი, 2002-წლიდან სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის წევრი,2003-წლიდაან ვიყავი ადვოკატი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის კავკასიის ფედერაციაში.

2003-წელს პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს ადვოკატები"-დან წარდგენილი ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად.
2006-წლიდან ვარ დამფუძნებელი სოციალურად და ეთნიკურ-რელიგიურად დაუცველ პირთა და პატიმართა უფლებების დაცვის კავკასიის ფედერაცია „ მშვიდობა XXI"-ის, ასევე დღეის მდგომარეობით ვარ ფედერაციის მოქმედი ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და ფედერაცია „მშვიდობა XXI"-ის პრეზიდენტი.
2007-წლის 04-ივლისიდან 2008 წლის 03-ივლისამდე ვიყავი პატიმარი.
2020-წელს წარდგენილი ვიყავი პოლიტიკური პარტია ,,საქართველოდან" საქართველოს პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატად.
მყავდა: მამა-ლადო სიმონის-ძე ბუნტური,რომელიც 1978-წელს 46-წლის ასაკში გარდაიცვალა.
დედა-ნინო ვასილის -ას.ბუნტური-კაიშაურისა,რომელიც 2014-წელს 82-წლის ასაკში გარდაიცვალა.
ძმა-ვეფხო ვლადიმერის -ძე ბუნტური,ომის ვეტერანი დაჯილდოვებული სამშობლოს წინაშე უმწიკვლო სამსახურისთვის ,რომელიც 2020-წელს 57-წლის ასაკში გარდაიცვალა.
ძმა-ვასილ ლადოს -ძე ბუნტური დევნილი ახალგორიდან 70-წლის პენსიონერი.
არ-მყავს მეუღლე

ავტობიოგრაფია ჩემია(ლალი ბუნტურის)ჩემი დაწერილი რასაც ვადასტურებ ხელის

მოწერით: /ლალი ბუნტური/

10.06.2024 წ.